თვითშეფასება, ცნობისმოყვარეობა და პროფესიის არჩევის სირთულე მოზარდებში

ქეთევან ზაალიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის საგნის კრედიტის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

05.06.2025

აბსტრაქტი

მოზარდის მიერ პროფესიული არჩევანის გაკეთება ერთ-ერთი რთული გამოწვევაა თანამედროვე განათლებისა და ფსიქოლოგიური განვითარების კონტექსტში. აღნიშნულ პროცესზე მოქმედებს როგორც გარე ფაქტორები, ასევე პიროვნული, მათ შორის თვითშეფასება და ცნობისმოყვარეობა. ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ როგორ პროგნოზირებს მოზარდების თვითშეფასება და ცნობისმოყვარეობა, კერძოდ მისი სამი განზომილება, (ძიების სიხარული, ინფორმაციის ნაკლებობისადმი სენსიტიურობა, სოციალური ცნობისმოყვარეობა) პროფესიის არჩევანის სირთულეს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სხვადასხვა სკოლის 115 მოსწავლემ. მონაცემები შეგროვდა როზენბერგის თვითშეფასების სკალის, ხუთგანზომილებიანი ცნობისმოყვარეობის სკალისა და კარიერული გადაწყვეტის სირთულეების კითხვარების საშუალებით. შედეგების მიხედვით, ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა: მაღალი თვითშეფასება ასოცირდებოდა პროფესიის არჩევანის ნაკლებ სირთულეებთან, ხოლო ცნობისმოყვარეობის სამი განზომილებიდან, მხოლოდ სოციალური ცნობისმოყვარეობა აღმოჩნდა პროფესიის არჩევანის დადებითი პრედიქტორი. აღნიშნული მიგნება შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ მოზარდები, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი სოციალური ცნობისმოყვარეობა, პროფესიის არჩევისას უფრო ხშირად აწყდებიან გადაწყვეტილების მიღების სირთულეებს და, ასევე, ხშირად განიცდიან დაბნეულობის შეგრძნებას. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მოზარდების კარიერული სიცხადის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს თვითშეფასება, მაშინ როდესაც ცნობისმოყვარეობის გავლენა უფრო კომპლექსურია და კონტექსტზეა დამოკიდებული. მოცემული კვლევა აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია მოზარდების კარიერულ განვითარებაში ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა თვითშეფასება და ცნობისმოყვარეობა, განსაკუთრებით, სამომავლო კარიერულ კონსულტაციასა და საგანმანათლებლო პროგრამებში.

Abstract

Career decision-making difficulties among adolescents represent a significant challenge within the context of modern education and psychological development. This process is influenced by both external and personal factors, including self-esteem and curiosity. The aim of this study was to explore how adolescents' self-esteem and three dimensions of curiosity (joyful exploration, deprivation sensitivity, and social curiosity) predict career decision-making difficulties. The study involved 115 students from several schools in Tbilisi, Georgia. Data were collected using Rosenberg's Self-Esteem Scale, the Five-Dimensional Curiosity Scale (5DC), and the Career Decision-Making Difficulties Questionnaire. Hierarchical multiple regression analysis was employed to examine the relationships between variables. The results partially confirmed the research hypothesis: higher self-esteem was significantly associated with lower career decision-making difficulties. Among the three curiosity dimensions, only social curiosity emerged as a statistically significant predictor — surprisingly, in a positive direction. This finding may suggest that adolescents with higher social curiosity experience greater confusion due to external expectations and increased sensitivity to others' opinions. The findings indicate that self-esteem plays a central role in adolescents' career clarity, while the influence of curiosity is more nuanced and context-dependent. The study highlights the importance of considering these psychological factors in career counseling and educational interventions designed to support adolescents' vocational development.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გაწეული შრომისა და ჩემითვის, მინდა მადლობა გადავუხადო მეთაურს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო ჯავახიშვილს, რომელიც ძირითადი ჩართული იყო უსაფრთხოებისა და ნაშრომის წერის ფერმა, მაძლევდა რჩევებს და შექმნას და მეხმარებოდა სიძნელებს დაძლევაში.

ასევე, დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ მონაწილეს, კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი მონაცემთა ბაზა მხარდაჭერა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.